მედიის განვითარების ფონდის ყოველკვირეული გამოცემა

MDF
მედიის განვითარების ფონდი

# ბიულეტენი №2

22. 04 -28.04.2013

## მონიტორინგის ძირითადი მიგნებები

წინამდებარე ბიულეტენი 22 -დან 29 აპრილამდე პერიოდს მოიცავს. საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

- გარკვეული მედია საშუალებების ჟურნალისტები (ობიექტივი, ასავალ-დასავალი, კვირის ქრონიკა) ან თავად არიან ეთნიკური, რელიგიური, რასობრივი თუ სექსუალური ნიშნით დისკრიმინაციის, სიძულვილის ენის წყარო ან იზიარებენ მათი რესპონდენტების დისკრიმინაციულ, რასობრივ და ჰომოფობიურ გამოხატვებს, ზოგ შემთხვევებში კი ორივე ერთად იჩენს თავს.
- გარკვეულ შემთხვევაში კი ჟურნალისტთა არაინფორმირებულობა საკითხთან დაკავშირებით (რუსთავი 2-ის "პოზიცია", მაესტროს "პოლიტმეტრი", იმედის "ქრონიკა") ხელს უწყობს რესპონდენტთა მხრიდან დისკრიმინაციის და არასწორი ინფორმაციის უაპელაციო ტირაჟირებას.
- ეთნიკური და სექსუალური ნიშნით დისკრიმინაცია დიდწილად პოლიტიკური მოვლენების კონტექსტში ხდებოდა და "ნაციონალური მოძრაობის" 19 აპრილის აქციასა და შუალედურ არჩევნებს უკავშირდებოდა. საარჩევნო დისკურსში კი აქტუალური თემები რეგიონალურ ენათა ქარტიის რატიფიცირება და ერთსქესიანთა ქორწინება იყო, ასევე მესხების რეპატრიაცია, რაც 23 აპრილს, ევროსაბჭოში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ გაკეთებულ განცხადებებს უკავშირდებოდა.
- რასობრივი და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია კი ძირითადად საკუთრებით საკითხებთან დაკავშირებით იჩენდა თავს.

პროექტი 6 გაზეთის (ასავალ-დასავალი, რეზონანსი, 24 საათი, ქრონიკა, ალია, კვირის პალიტრა); 6 ტელევიზიის (საზოგადოებრივი მაუწყებელი, იმედი, რუსთავი 2 კავკასია, მაესტრო და მე-9 არხი) დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვებებისა და თოქ-შოუების, ასევე მედია-კავშირ "ობიექტივის" საღამოს თოქ-შოუს დაკვირვებას ითვალისწინებს.

პროექტი "ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში" საქართველოს გაეროს ასოციაციისა და ფონდ ღია საზოგადოება-საქართველოს მიერ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ხორციელდება.

ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია MDF და ის შესაძლოა, არ ასახავდეს USAID-ის და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



მონიტორინგი

## მთავარი თემები


| | |
|---|---|
| ეთნიკური, რასობრივი ნიშნით დისკრიმ... | 2 |
| ანტითურქული გამოხატვა | 4 |
| რელიგიური თემატიკა | 5 |
| დეპორტირებული მესხები | 6 |
| რეგიონალური ენების ქარტია | 9 |
| სექსუალური უმცირესობები | 11 |
| ქონებრივი დავები | 13 |


unag საქართველოს გაეროს ასოციაცია
USAID ამერიკელი ხალხისგან
OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

# ეთნიკური, რასობრივი ნიშნით დისკრიმინაცია, არმენოფობია

**ობიექტივი, 24 აპრილი**

მსახიობი დიმა ჯაიანი "ღამის სტუდიაში" გადაცემის წამყვანთან, ბონდო მძინარაშვილთან ერთად ავითარებენ აზრს, რომ საქართველოში გამრავლების უფლება მხოლოდ ეთნიკურ ქართველებს აქვთ, ხოლო სხვა ეთნოსის წარმომადგენლები, მიუხედავად მათი სამოქალაქო იდენტობისა, სხვა ქვეყნის შვილები არიან, რაც ნაცისტურ დოქტრინას წარმოადგენს.

> **დიმა ჯაიანი:** *"ჩვენ არ ვართ კარგ დღეში... ღმერთმა გაამრავლოს, მაგრამ ნუ, ახლა შედარება, ოჯახში სხვა ერის წარმომადგენელი იბადება ოცი და ამ დროს, ორი არ არის ქართველი კაცის ოჯახში... საქართველოს ხარჯზე არ უნდა გამრავლდნენ და ქართველების ხარჯზე. ღმერთმა გაამრავლოს, მაგრამ თავიანთ ქვეყანაში. ერთიც, და მეორეც, არსებობს ქვეყნები, სადაც ისინი იმ ქვეყნის შვილები არიან. "*

> **ბონდო მძინარაშვილი:** *"რაღა საქართველოში? მე გეთანხმებით, ბატონო დიმიტრი, გაამრავლოს ღმერთმა, მაგრამ არა-საქართველოში."*

ნაძალადევის რაიონზე საუბრისას, მსახიობი დიმა ჯაიანი მის ეთნიკურ შემადგენლობაზე ამახვილებს ყურადღებას:

> *"ისე, ქართული რაიონია, სუფთა (ნაძალადევის რაიონი)".*

აკია ბარბაქაძე აფროამერიკელების ნაცვლად ტერმინ "ზანგებს" იყენებს და რასისტულ გამონათქვამებს მიმართავს:

> "ნაკრებში ერთი ქართველი რომ გაერევა და დანარჩენი სულ ზანგები გეყოლება, ეგ არის პრობლემა, რა".

> http://obieqtivi.net/tv1.php?id=11718

**კვირის ქრონიკა, 22-28 აპრილი**

"კვირის ქრონიკასთან" ინტერვიუში პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ ქსენოფობიას აღვივებს და მათ "გადამთიელებად" მოიხსენიებს:

> **მანანა კობახიძე:** *"მამული იყო და როგორ მოექცნენ (იგულისხმება ნაციონალური მოძრაობა), ყველამ ვიცით, რაც მტერმა ვერ წაიღო, ამათ უსასყიდლოდ გადასცეს გადამთიელებს, დღეს შიდა ქართლში, გორში გლეხებს საძოვრებიც კი აღარ დარჩათ."*

მიწების საკუთრების თემას ჟურნალისტი გელა ზედელაშვილი განავრცობს, რომელიც სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს ქვეყნის საფრთხედ წარმოაჩენს:

> *"მანანა, ახლა თვითონ თქვი, ჩვენი მიწები გადამთიელების ხელშია. მარტო ქართლი კი არა, კახეთი და დანარჩენი საქართველოც იგივე დღეშია, წაგვლეკეს ინდოელებმა და ჩინელებმა."*

საპასუხოდ პარლამენტის ვიცე-სპიკერი ტერმინების აღრევას ახსენს და "ქსენოფობიის" ნაცვლად, "ჰომოფობიას" იყენებს:

> **მანანა კობახიძე:** *„გელა, მე მინდა, პირველ რიგში, საზოგადოებამ სწორად გაიგოს, არ ჩათვალოს რაიმე ჰომოფობიურ განცხადებად. არც ჩინელს ვერჩი, არც ინდოელს, აქ არის საუბარი იმაზე, რომ მიწის გასხვისება უნდა იყოს მკაცრად რეგლამენტირებული."*

"ჰომოფობია" ჰომოსექსუალობისა და ჰომოსექსუალთა მიმართ უსაფუძვლო შიშს, განდგომას, ან დისკრიმინაციას ნიშნავს, ხოლო "ქსენოფობია" უცხოელების, სხვა კულტურის თუ ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების მიმართ ღრმა ანტიპათიას, შიშს ან ზიზღს აღნიშნავს.

ბიულეტენი №2



**დიმა ჯაიანი:**
*"ოჯახში სხვა ერის წარმომადგენელი იბადება ოცი და ამ დროს, ორი არ არის ქართველი კაცის ოჯახში... საქართველოს ხარჯზე არ უნდა გამრავლდნენ და ქართველების ხარჯზე."*

# ეთნიკური, რასობრივი ნიშნით დისკრიმინაცია, არმენოფობია



**გიორგი გუგავა:** *"სულ ახლოა ის პერიოდი, როდესაც საქართველოს პირველი პირი ინდოელი, სიქხი ან არაბი იყოს."*

## I არხი, "დიალოგი ", 24 აპრილი

რესპონდენტების მხრიდან უცხოელებზე მიწების გასხვისების თემა, როგორც საფრთხე განიხილებოდა 24 აპრილის გადაცემა "დიალოგში დავით პაიჭაძესთან" ერთად, რომელიც ნაძალადევის რაიონში პარლამენტის შუალედური არჩევნების მონაწილე დეპუტატობის კანდიდატებს დაეთმოთ. ლეიბორისტთა კანდიდატი გიორგი გუგავა თბილისის ზღვაზე ჩინელების ჩამოსახლების და ქართველების მომაკვდავ ერთა ნუსხაში შეყვანის საფრთხეზე საუბრისას ქსენოფობიურ და რასისტულ გამონათქვამებს მიმართავს:

> **გიორგი გუგავა:** *"თბილისის ზღვის ირგვლივ შენდება ჩინური ქალაქი, სხვათაშორის, სასტუმროებად გაყიდეს სკოლები, მოქმედი სკოლები და აქციეს ჩინელების სასტუმროებად და მალე პატარა ჩაინათაუნი გვექნება... სულ ახლოა ის პერიოდი, როდესაც საქართველოს პირველი პირი ინდოელი, სიქხი ან არაბი იყოს."*

გადაცემის წამყვანი რესპონდენტის ამ რეპლიკაზე ადეკვატურად რეაგირებს და აზუსტებს, რომ თბილისის ზღვაზე მიმდინარე მშენებლობის პროცესი ჩინელების ჩამოსახლებას არ გულისხმობს და დეპუტატობის კანდიდატს ნაძალადევის და დეპუტატობის კანდიდატს ნაძალადევის ამომრჩეველთა პრობლემებზე კონცენტრირებისკენ მოუწოდებს.

http://www.myvideo.ge/?video_id=2019977

უცხოელებზე ქონების გასხვისების მიუღებლობა პარლამენტის შუალედური არჩევნების კამპანიის კონტექსტში გააშუქეს ტელეკომპანიებმა "იმედი" და "მაესტრო":

## იმედი, "ქრონიკა", 25 აპრილი

> **გიორგი გუგავა:** *"ჩვენ ვიბრძოლებთ ბოლომდე, რომ ეს სკოლა დაუბრუნდეთ ბავშვებს და შეწყდეს საქართველოში ჩინური, არაბული, ინდოელების ექსპანსია. დავიცვათ ჩვენი ქვეყანა უცხოელების შემოსევისაგან".*
> http://www.myvideo.ge/?video_id=2021663

## მაესტრო, ახალი ამბები 9ზე, 25 აპრილი

> **გიორგი გუგავა:** "*აქედან იწყება ჩინური ექსპანსია, ნაძალადევისა და მთელი თბილისისა. თუ თქვენ მხარს დაგვიჭერთ, ჩვენ ვიბრძოლებთ ბოლომდე, რომ ეს სკოლა დაუბრუნდეთ ბავშვებს."*

http://www.myvideo.ge/?video_id=2021191

## კვირის ქრონიკა, 22-28 აპრილი

პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი "კვირის ქრონიკასთან" ინტერვიუში კვლავ არმენოფობიული გამონათქვამებით გამოირჩევა და ყოფილ ხელისუფლებას გვარგადაკეთებულ სომხებად წარმოაჩენს:

> *"წინა მოწვევის პარლამენტში 60% იყო სომეხი, ამდენივე იყო მთელ ხელისუფლებაში. თვითონ გადაიკეთეს გვარები, მე რა შუაში ვარ?"*

რესპონდენტის ამ პათოსს ჟურნალისტიც იზიარებს და სომხებისა და ქართველების სეგრეგაციას ახდენს:

> *"მაგათ (სომხებს) ბევრი რამ უნდათ, რაც ჩვენ არ გვინდა, ამიტომაც ვართ ასე."*

თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას ჯანსუღ ჩარკვიანი არა მხოლოდ ყოფილი სახელისუფლებო პარტიის მიტინგის მიმართ, არამედ სომხების მიმართაც გამოხატავს, როდესაც აცხადებს:

> *"არ მქონდა ხოში, რომ მაგ მიტინგს ქართველები დასწრებოდნენ, სომხებს შემოვევლე - კი, ბატონო... სომხები მაგას ვერ გაიგებდნენ, გვარგადაკეთებულ სომხებს რომ არ აეტეხათ ერთი ამბავი."*

გაგრძლება გვ. 4

## ანტითურქული განწყობები

ანტითურქული განწყობები და განცხადებები თურქული ექსპანსიის შესახებ აქტუალური პარლამენტის შუალედური არჩევნების დისკურსში იყო. მოსაზრებას, რომ თურქეთის ექსპანსიაზე ხელისუფლება არ რეაგირებს, მაშინ, როდესაც რუსეთის მიმართ გაცილებით კრიტიკულია, ძირითადად საქართველოს პატრიოტთა ალიანსის კანდიდატი სოსო მანჯავიძე, მისი მოძრაობა და ამ მოძრაობასთან დაკავშირებული მედია -კავშირი ობიექტივი ავითარებდა. ჟურნალისტები კი ყოველთვის ადეკვატურად ვერ რეაგირებდნენ რესპონდენტთა მიერ გაზვიადებულ საფრთხეებზე, ისევე, როგორც მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებზე.

**ოსმალეთის იმპერიის აღდგენის "საფრთხე"**
სოსო მანჯავიძემ განცხადებები თურქული ექსპანსიის შესახებ მაესტროს "პოლიტმეტრში", საზოგადოებრივი მაუწყებლის "დიალოგში" და "იმედის" "ღია ეთერში" გააჟღერა:

**პოლიტმეტრი, 25 აპრილი**

**სოსო მანჯავიძე:** *"ერდოგანმა განაცხადა, რომ თურქეთის მიზანია ზესახელმწიფოდ ჩამოყალიბება, იგივე დავითოღლუს დოქტრინას, თუ როგორ უნდა განახორციელონ, ნათლად ვხედავთ აჭარაში."*
http://www.myvideo.ge/?video_id=2020595

გაგრძლება გვ. 7

## ეთნიკური, რასობრივი ნიშნით დისკრიმინაცია, არმენოფობია

დასაწყისი გვ. 2, 3

19 აპრილის ოპოზიციის აქციიდან "კვირის ქრონიკის" (22-28 აპრილი) რეპორტაჟი და უსახელო გმირად მოხსენიებული პირის ციტატა სიძულვილის ენას შეიცავს:

> *"ქართველებს თავზე თურქი რომ დაგვდის, ჩინელი და ჩალმიანი მაიმუნი, ამერიკელებს რომ ტრ... ვფხანთ და ისიც ჩვენ გვბრძანებლობს, საქართველოში ქართველი ამოწყდა?"*

**საზოგადოებრივი მაუწყებელი**
**"მოამბე", 22 აპრილი**

მოამბის სიუჟეტი, რომელიც პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფის ბრალდებით პირთა დაკავებას შეეხება, პროსტიტუციის ტურიზმთან და სხვა ქვეყნის მოქალაქეებთან დაკავშირებას ახდენს. კერძოდ, ჟურნალისტის მიერ სიუჟეტში გამოყენებული გონიოს ერთ-ერთი მკვიდრის კომენტარი პროსტიტუციის გაიგივებას უზბეკებთან, შუა აზიელებთან და თურქებთან ახდენს.

> **შერმადინ შანიძე:** *"ისეთი სახლი არ არის, რომ ეს უზბეკები, შუა აზიელები არ იყვნენ, ქართველებზე ლაპარაკი აღარ არის. ბარდელებია გახსნილი. თურქები იმიტომ სადმე არ მიდიან, რომ ამ ქალებთან არიან, სულ. სოფელს სახელი გაუტყდა."*

იმ სასტუმროს თანამშრომლის პასუხი ჟურნალისტის დაინტერესებაზე, სადაც პროსტიტუციის ბრალდებით ადამიანთა დაკავება მოხდა, თუ რომელი ქვეყნებიდან ჰყავთ სტუმრები, გაცილებით ადეკვატურია, ვიდრე თავად ჟურნალისტის დაინტერესება, რადგან ადამიანთა ეთნიკური კუთვნილება, თუ ის პირდაპირ კავშირში არ არის დანაშაულის ჩადენის მოტივთან, ჟურნალისტმა არ უნდა აღნიშნოს.

> **სასტუმროს თანამშრომელი:** *"სტუმარი შემოდის და შუა აზიელი ახლავს თუ ქართველი ნამდვილად არ ვეკითხებით."*
> http://www.myvideo.ge/?video_id=2025351



**კვირის ქრონიკა:**
*"ქართველებს თავზე თურქი რომ დაგვდის, ჩინელი და ჩალმიანი მაიმუნი, ამერიკელებს რომ ტრ... ვფხანთ და ისიც ჩვენ გვმბრძანებლობს, საქართველოში ქართველი ამოწყდა?"*

## რელიგიური თემატიკა, დისკრიმინაცია

### კვირის ქრონიკა, 22 -28 აპრილი

“კვირის ქრონიკასთან” ინტერვიუში პარლამენტის ვიცე-სპიკერი ქართული ოცნებიდან ნაციონალურ მოძრაობას ეკლესიების მნგრეველებად მოიხსენიებს (*“ეკლესიებს ეგენი ანგრევდნენ და დღეს რა სარწმუნოებაზე უნდა ილაპარაკონ?”*) და 2010 წელს რადიკალურად განწყობილი მართლმადიდებლური ჯგუფის წარმომადგენლების დაკავებას იმდროინდელი ხელისუფლების მიერ ტელეკომპანია “კავკასიის” თოქ-შოუს სტუმრებისა და ტელევიზიის თანამშრომლებისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო მათ მართლმადიდებლობასთან აკავშირებს:

> **მანანა კობახიძე:** *“რაც შეეხება სარწმუნოებას, მართლმადიდებელი ბიჭები ვისი გასამართლებულია? ისინი ჩვენ გამოვუშვით ციხიდან, როგორც უკანონო პატიმრები და პოლიტიკური ნიშნით დევნილები…მათ სასამართლო პროცესზე ძალიან აგრესიულად გამოდიოდა იგივე სერგო რატიანი (MDF: გადაცემის სტუმარი, რომელიც პროცესში მოწმის სახით იყო ჩართული), ის მიზანმიმართულად მოქმედებდა, რომ ეს ხალხი ციხეში ჩაეყარათ.”*

აღსანიშნავია, რომ მანანა კობახიძე ადამიანთა ფიზიკური შეურაცხყოფის და ჟურნალისტური საქმიანობისათვის ხელის შეშლის საფუძველზე და პატიმრებულთა “მართლმადიდებლობის დაცვისთვის” გასამართლებაზე ადრეც საუბრობდა. იხ. საქინფორმისთვის მიცემულ ინტერვიუ, “ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშების პოზიციით, მართლმადიდებლობა არის საქართველოს კონსერვატიული და განვითარების შემაფერხებელი გარემოება”:

http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=6028%3A2011-07-06-11-55-41&catid=116%3Ainterviu2&Itemid=538

### ობიექტივი
### “ღამის სტუდია”, 22 აპრილი

პატრიოტთა ალიანსის ლიდერი დავით თარხან-მოურავი რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას მიმართავს და უმცირსობათა წარმომადგენლებს შეურაცხმყოფელად მოიხსენიებს:

> *“ეროვნული ნიშნავს რწმენისადმი ერთულებას. იეღოველებს რომ შემოათრევ აქ და “შეშოკებით”, ტომრებით რომ არიგებენ ფქვილს, იაღოველი გახდა, ამას რომ შეუწყობ ხელს, ეს არის რწმენისადმი ერთგულება? საერთოდ ურწმუნოები არიან ეგენი.”*

http://obieqtivi.net/tv1.php?id=11690

### ობიექტივი
### “ღამის სტუდია”, 26 აპრილი

გადაცემის სტუმარი მირიან ყარაულაშვილი ბათუმში მეჩეთის აშენების მიუღებლობაზე საუბრისას, აჭარაში მცხოვრები ადგილობრივი მუსლიმების დისკრიმინაციას ახდენს:

> *“ჩვენ არ დავუშვებთ ბათუმში ჰუსეინის ქადაგებას. რამეთუ ეს უკვე ნიშნავს, რომ მთლიანად დამთავრდა იქ ყოველგვარი ქრისტიანული, იქ დამთავრდა ყოველგვარი გავლენა მართლმადიდებლობის და არის აბსოლუტური ფორპოსტი მუსულმანური რელიგიის და თანაც, აგრესიული მუსულმანური მიმართულების ამ რელიგიისა.“*

ეთერში მსმენელის სატელეფონო ზარი მიმდინარე პროცესებს პროზელიტიზმის ჭრილში განიხილავს:

> *“პრობლემა თურქეთს იმის გამო გააჩნია, რომ აშენებენ რაღაცებს, ყიდულობენ სახლებს, ხსნიან სპეციალურ სკოლებს და მათ იმის გამო ეშინიათ, რომ აჭარლები უბრუნდებიან ქრისტიანობას, რაც შეუქცევადია.”*

გადაცემის წამყვანი ანი კიკნაძე კი იზიარებს მაყურებლის პოზიციას და მოვლენებს თურქეთის პოლიტიკურ და არა რელიგიურ გეგმებს უკავშირებს.

http://obieqtivi.net/tv1.php?id=11748



**მანანა კობახიძე:**

*“მართლმადიდებელი ბიჭები ვისი გასამართლებულია? ისინი ჩვენ გამოვუშვით ციხიდან, როგორც უკანონო პატიმრები და პოლიტიკური ნიშნით დევნილები”…*

## დეპორტირებული მესხები

დეპორტირებული მესხების თემაზე საუბრისას იკვეთება ორი პრობლემა: ხშირად თავად ჟურნალისტები არ ფლობენ სათანადო ინფორმაციას საკითხთან მიმართებაში, არც რეპატრიაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ და შედეგად რესპონდენტების მხრიდან დამახინჯებული ფაქტების არასწორ კონტექსტში ტირაჟირება ხდება; არის შემთხვევები, როცა თავად გადაცემის წამყვანი არის თანამოაზრე იმ დისკრიმინაციული მოსაზრებებისა, რომლებიც რესპონდენტებს გააჩნიათ.

რუსთავი 2
“პოზიცია”, 23 აპრილი
პარლამენტის შუალედურ არჩევნებში მონაწილე დეპუტატობის კანდიდატების დებატებზე ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელი არა მხოლოდ არაზუსტ ინფორმაციას ავრცელებს რეპატრიაციის პროცესის, დეპორტირებულთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ, არამედ ანტიეროვნულად წარმოაჩენს იმ მოქალაქეთა რეპატრიაციის ვალდებულებას, რომელიც საბჭოთა რეჟიმმა ქვეყნიდან იძულებით გაასახლა:

> **გიორგი გუგავა:** “*ნაცმოძრაობის დაკრულზე დადის მთელი ოცნების შემადგენლობა, რესპუბლიკელებისა, რომლებმაც წინ წამოწიეს ის ანტიეროვნული საკითხები, რომლებიც დაწყებული ჰქონდა ნაციონალურ მოძრაობას... აი, ივანიშვილის მიერ აღებული ვალდებულება დღეს 80000 თურქის ჩამოყვანის შესახებ, ეს დასაბლოკია, ქართული მიწების გასხვისება უცხოელებზე დასაბლოკია აუცილებლად.*”

საპასუხოდ გადაცემის წამყვანი ნინო შუბლაძე მხოლოდ მადლობით შემოიფარგლა და არ მოახდინა არც ფაქტების და არც იმ სამართლებრივი ვალდებულების დაზუსტება, რაც საქართველოს სახელმწიფოს მისი მოქალაქეების მიმართ წარმოეშვა.
http://www.myvideo.ge/?video_id=2018957

“მაესტრო”
პოლიტმეტრი, 25 აპრილი
მესხების ჩამოსახლებაზე, როგორც საფრთხეზე, ლეიბორისტთა მაჟორიტარობის კანდიდატმა მაესტროს გადაცემა “პოლიტმეტრშიც” ისაუბრა:

> “*პრემიერმა განაცხადა ასეთი რაღაც... საქართველოში ჩამოასახლებს, ხელს შეუწყობს 80 000 თურქი მესხის ჩამოსახლებას... როდესაც 300 000 დევნილი გვყავს საქართველოში, როდესაც 70 000 ბანკის მევალეს, იპოთეკარებისგან გადაგდებულს, ემუქრება გარეთ გამოგდება, თურმე მთავარი პრობლემა ჩვენთვის ის ყოფილა, რომ შევასრულოთ ვალდებულება და 80 000 თურქი მესხი ჩამოვასახლოთ საქართველოში.*”

“პოზიციის” წამყვანის მსგავსად ფაქტები არც “პოლიტმეტრის” წამყვან ნინო ჟიჟილაშვილს დაუზუსტებია და მხოლოდ ის აღნიშნა, რომ პრემიერმა “ცოტა სხვაგვარად” ხომ არ განაცხადა.

მოგვიანებით ფაქტობრივი სიზუსტის თვალსაზრისით მეტი სიცხადე თავად “ქართული ოცნების” მაჟორიტარობის კანდიდატმა თამარ კორძაიამ შეიტანა, რომელმაც ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, მიზანშეუწონლად მიიჩნია მესხების თურქებად მოხსენიება, ასევე განმარტა საკანონმდებლო ვადები, რომლის თანახმადაც, აპლიკაციების შემოტანის ვადა 2010 წელს დასრულდა და ის მდგომარეობა, რაც რეპატრიაციის სტატუსის მაძიებელთა რაოდენობის მხრივ არსებობს (5 800 აპლიკანტი), ამასთანავე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მათი რაოდენობა მომავალში ვერ გაიზრდებოდა.
http://www.myvideo.ge/?video_id=2020629

ობიექტივი
22 აპრილის ობიექტივის ეთერში კი მესხების დეპორტაციის თემა თურქების ჩამოსახლების კონტექსტში იყო გაჟღერებული მაყურებლის სატელეფონო ჩართვისას, რასაც ბუნებრივია არ მოჰყოლია გადაცემის წამყვანის ილია ჩაჩიბაის მხრიდან რეაქცია, ვინაიდან ობიექტივის შემთხვევაში ხშირად თავად წამყვანები გვევლინებიან დისკრიმინაციის წყაროდ.
**http://obieqtivi.net/tv1.php?id=11704**

## ანტითურქული განწყობები

დასაწყისი გვ. 4

**ღია ეთერი, 26 აპრილი**

გადაცემის წამყვანი ვახო სანაია ინტერესდება, თუ რას გულისხმობს რესპონდენტი თურქეთის ექსპანსიაში, რაზეც სოსო მანჯავიძე პასუხობს:

> **სოსო მანჯავიძე:** *"ვგულისხმობ დავითოღლუს განცხადებებს. ის, რაც ხდება აჭარაში, ყველაფერი იყიდება. მიმდინარეობს ღია სუბსიდირება თურქი ბიზნესმენების, რომლებმაც შეიძინეს საკომანდო სიმაღლეები აჭარაში, მიწებს და ეკონომიკურ სიმაღლეებს ვგულისხმობ."*
> http://www.myvideo.ge/?video_id=2022498

**I არხი, დიალოგი , 24 აპრილი**

> **სოსო მანჯავიძე:** *„ქართული მედია ნაკლებ ყურადღებას აქცევს, რაც მიმდინარეობს იგივე აჭარაში და სამხრეთ საქართველოში მაშინ, როდესაც თურქეთი უკვე ოფიციალურ რუქებს აქვეყნებს არამარტო საქართველოს ამ ძირძველი კუთხის, არამედ მსოფლიოს ყოფილი ოსმალური იმპერიის აღდგენის შესახებ".*

უნდა აღინიშნოს, რომ დავით პაიჭაძე ახდენს რეაგირებას სოსო მანჯავიძის მსგავსს განცხადებაზე, როდესაც ეკითხება რესპონდენტს, თუ რამდენად არის ეს ოფიციალური პოლიტიკის ნაწილი, რაზეც საპასუხოდ იგი აპელირებას საგარეო საქმეთა მინისტრ დავითოღლუს განცხადებაზე აკეთებს. თავის მხრივ, ჟურნალისტს საკითხი ირონიულ კონტექსტში გადაჰყავს, როდესაც კითხულობს, გულისხმობს თუ არა ოსმალეთის იმპერიის აღდგენა სულთანის სათავეში მოყვანას.
http://www.myvideo.ge/?video_id=2020638

აღსანიშნავია, რომ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადების შესახებ ინფორმაცია ბათუმის დაპყრობისა და ოსმალეთის იმპერიის აღდგენის შესახებ მედია კავშირმა ობიექტივმა გაავრცელა, თუმცა წყაროს, განცხადების გაკეთების ადგილისა და თარიღის იდენტიფიცირება არ მოუხდენია. რაც შეეხება რუქას, რომელზეც მანჯავიძე აპელირებს, ობიექტივის "ღამის სტუდიაში" (22 აპრილი) მიწვეული ამავე პარტიის ლიდერი დავით თარხან-მოურავი მართალია აცხადებს, რომ იგი თურქულ გაზეთში გამოქვეყნდა, თუმცა გამოცემის სახელწოდებას ვერ აკონკრეტებს. ცხადია, გამოქვეყნების შემთხვევაშიც კი, მსგავსი რუქა თურქეთის სახელმწიფოს ოფიციალურ პოზიციად ისევე ვერ ჩაითვლება, როგორც "ობიექტივის" - საქართველოს ხელისუფლების.

> **დავით თარხან-მოურავი:** *„მეგობარია თურქეთი, ეს არის მეგობარი, სტრატეგიული მეგობარი, უბრალოდ, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, დავითოღლუ ამბობს, რომ ჩვენ ვიწყებთ თურქეთის იმპერიის, ოსმალეთის იმპერიის აღორძინებასო. და ამბობს, რომ აი, ამ აღორძინებულ ოსმალეთის იმპერიაშიო, თურქეთის საზღვრები იქნებაო დამასკოდან, დამასკო, ბენღაზა, სარაევო და ბათუმიო. და ამბობს, რომ ამასო, ეხლა ჩვენო, მშვიდობით გავაკეთებთო... ამის მერე გამოდის გაზეთი, თურქული, აღარ მახსოვს, რა ჰქვია იმ გაზეთს, რომელშიც პირდაპირ რუქაა უკვე ახალი ოსმალეთის იმპერიის რუქა და ამ რუქაში მთელი აჭარა თურქეთის შემადგენლობაშია."*
> http://obieqtivi.net/tv1.php?id=11690

ბათუმის დაპყრობის შესახებ ინფორმაციას თავად "ობიექტივის" ჟურნალისტი ილია ჩაჩიბაიაც ავრცელებს 22 აპრილის "ღამის სტუდიაში": *"თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ისინი აპირებენ დაიპყრონ ბათუმი, ოღონდ მშვიდობიანი ფორმით."*

ამავე თემას ავითარებს გადაცემის სტუმარი გულბაათ რცხილაძე, ევრაზიის ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც მაყურებლის შეკითხვაზე - *"რას იტყვით თურქეთის მომძლავრებულ ექსპანსიაზე. ბათუმი, რომ ერთ დიდ ბორდელად გადაიქცა და საერთოდ აჭარა, რომ მიაქვთ. ჩინური ქალაქის მშენებლობაზე, გაყიდულ მიწებზე"* _ შემდეგნაირად პასუხობს:

> **გულბაათ რცხილაძე:** *"მშვიდობიანი პენეტრაცია, კოლონიალიზმის დროინდე-*

გაგრძელება გვ. 8



სოსო მანჯავიძე: *"თურქეთი უკვე ოფიციალურ რუქებს აქვეყნებს არამარტო საქართველოს ამ ძირძველი კუთხის, არამედ მსოფლიოს ყოფილი ოსმალური იმპერიის აღდგენის შესახებ".*

## ანტითურქული განწყობები

დასაწყისი გვ. 4, 8

*ლი ტერმინია. სწორედ ეს არის, რაც დღეს აჭარაში ხდება. არა აბჯარით და იარაღით შესვლა, არამედ ეკონომიკის საშუალებით, ვითომ ინვესტიციებით, მხარდამჭერი ინფრასტრუქტურული პროექტებით მეზობელი სახელმწიფოს მხრიდან. ეს არის პენეტრაცია… როდესაც ის რუსეთის ბაზები გაუქმდა ბათუმიდან და ახალქალაქიდან, აი, მერე აიშვეს თავი თურქებმა. მერე იგრძნეს მათ თავი აჭარაშიც და ახალციხის რეგიონში და უფრო წინ წამოვლენ კიდევ როგორც საკუთარ სახლში.”*
**http://obieqtivi.net/tv1.php?id=11704**

22 აპრილის “ობიექტივის “ღამის სტუდიის” წამყვანი ირმა ინაშვილი და პატრიოტთა ალიანსის ლიდერი დავით თარხან-მოურავი “თურქეთის ექსპანსიაზე” საუბრისას, დაუსაბუთებელ პარალელებს ავლებენ რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციასთან.

**ირმა ინაშვილი:** *„ჩვენ ეს კითხვა რომ დავსვით, იცით, რა გვითხრეს, რომ რუსეთმა მიწები წაგვართვაო და, დალოცვილო, თურქეთმა არ წაგვართვა?“*

**დავით თარხან-მოურავი:** *“მაგრამ თურქეთი, 95 წლის მერე ოკუპანტი აღარაა. 30% ჩვენი ტერიტორია წაღებული აქვს, მინიმუმ ნახევარი მილიონი ქართულად მოლაპარაკე კაცი ცხოვრობს იქ, ქართველი, რომელსაც ენა შენარჩუნებული აქვს, მინიმუმ, და ის ოკუპანტი არაა, მეგობარია”..*
**http://obieqtivi.net/tv1.php?id=11690**

### მეჩეთის მშენებლობა

თურქეთის ექსპანსიის კონტექსტში განიხილავს სოსო მანჯავიძე ბათუმში მეჩეთის მშენებლობის თემას ნაძალადევის რაიონში დაგეგმილი წინასაარჩევნო დებატების დროს “დიალოგში დავით პაიჭაძესთან ერთად” (24 აპრილი), ვახო სანაიას “ღია ეთერში” (26 აპრილი) და ნინო ჟიჟილაშვილის “პოლიტმეტრში” (25 აპრილი).

სამივე არხზე რესპონდენტი ავითარებს აზრს, რომ მეჩეთის მშენებლობის შესაჩერებლად მათ ჩაატარეს საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომლის თანახმად, ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობისთვის, მათ შორის ქართველი მუსლიმებისთსვის ეს მშენებლობა მიუღებელია.

ბიულეტენი №2

რაც შეეხება იმას, თუ როგორ რეაგირებდნენ გადაცემის წამყვანები მსგავსს ჰიპერბოლიზებულ საფრთხეებზე, დავით პაიჭაძემ აღნიშნა, რომ „მსგავსი საკითხები (საკულტო ნაგებობების აშენება) „სხვანაირად წყდება”, რითაც მინიშნება გააკეთა, რომ უმცირესობათა უფლებების დაცვის რეალიზაციას კონკრეტული სამართებრივი ჩარჩოები აქვს და მხოლოდ უმრავლესობის აზრზე დაყრდნობით საკითხი ვერ გადაწყდება.
**http://www.myvideo.ge/?video_id=2020638**




დავით თარხან-მოურავი:

*“მაგრამ თურქეთი, 95 წლის მერე ოკუპანტი აღარაა. 30 % ჩვენი ტერიტორია წაღებული აქვს”...*

“პოლიტმეტრის” წამყვანს ნინო ჟიჟილაშვილს რეაგირება არ მოუხდენია სოსო მანჯავიძის მიერ გაკეთებული განცხადებაზე, რომლის თანახმად, აღნიშნული კვლევის შედეგები “*ძალიან სერიოზული ინსტრუმენტი იქნება ჩვენი ხელისუფლების ხელში, მეჩეთის თაობაზე, რომელიც დაუპირისპირდება იგივე თურქეთის ზეწოლას.*” რესპონდენტის მხრიდან ხდება აზრის დამკვიდრება, რომ მეჩეთის მშენებლობის აუცილებლობა თურქეთის ზეწოლის შედეგად წარმოიშვა და არა საქართველოს მოქალაქე მუსლიმების რელიგიური უფლებების რეალიზაციისთვის.
http://www.myvideo.ge/?video_id=2020595

ვახო სანაიას მხრიდან კი რეაგირება არა საქართველოს მოქალაქე მუსლიმების უფლებების კუთხით მოხდა, არამედ ოპონენტების მოსაზრებაზე აპელირებით აღინიშნა, რომ რესპონდენტს მთავარი მტრისგან - რუსეთისგან ყურადღების სხვაგან გადატანა სურდათ.
http://www.myvideo.ge/?video_id=2022498

## რეგიონალური ენების ქარტია



კახა კუკავა: *„სახელმწიფო ენის სტატუსიდან გამომდინარეობს ის პრობლემები, რომლებიც ჩვენ მივიღეთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. იქ ჯერ ქართული ენა შეცვალა სხვა ენებმა და ამის შემდეგ განვითარდა სეპარატიზმი"…*

მაესტრო

რეგიონალური ენების ევროპული ქარტიის თემა 25 აპრილის "პოლიტმეტრში" ნაძალადევში დაგეგმილი წინასაარჩევნო დებატების ფორმატშიც განიხილებოდა, რა დროსაც რესპონდენტთა მხრიდან დაუსაბუთებელი პარალელების მოყვანასა და გაზვიადებულ საფრთხეებზე საუბარს ჰქონდა ადგილი.

კახა კუკავა, თავისუფალი საქართველო: *"სახელმწიფო ენის სტატუსიდან გამომდინარეობს ის პრობლემები, რომლებიც ჩვენ მივიღეთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. იქ ჯერ ქართული ენა შეცვალა სხვა ენებმა და ამის შემდეგ განვითარდა სეპარატიზმი… ეს არის საქართველოს დეზინტეგრაციისკენ გადადგმული ნაბიჯი."*

მირზა დავითაია, ნაციონალური მოძრაობა: *"ეს ძალიან საეჭვოდ ემთხვევა მთელ რიგ ნაბიჯებს, რომელიც განხორციელდა მანამდე, აქ იყო ლაპარაკი რუსი ჯაშუშების გამოშვებაზე, ჩახალიანის გამოშვებაზე, ოკუპაციის კანონს დაემთხვა დროში."*

სოსო მანჯავიძე, პატრიოტთა ალიანსი: *"ეს შეიცავს საქართველოსთვის ეგზისტენციალურ საფრთხეს".*

თამარ კორძაია, ქართული ოცნება: *"აბსოლუტურად გეთანხმებით. ტერიტორიული მთლიანობის თემა არის საფრთხე ამ კონტექსტში."*

სოსო მანჯავიძე: *"რესპუბლიკელების ინიცირებული კანონი გულისხმობს თითოეული მუნიციპალური ერთეულის გაყოფას ხუთ თვითმმართველ ერთეულად, პლიუს რეგიონალური ენების ქარტიაზე მიერთება. ეს იყო საქართველოს დაშლის გეგმა. თქვენ წარმოიდგინეთ, როდესაც, მაგალითად, საგარეჯოს რაიონში გვაქვს ჩვენ მუნიციპალიტეტი, რომელიც ასე თუ ისე გაწონასწორებულია, დაბალანსებულია ეთნიკურად. და როდესაც ეს ხუთად დაიყოფა, წარმოიდგინეთ ეთნიკურად სუფთა არაქართულ რეგიონები აღმოჩნდებოდნენ თვითმმართველი მუნიციპალიტეტების რანგში."*

სოსო მანჯავიძის ბოლო განცხადების საპასუხოდ გადაცემის წამყვანი ნინო ჟიჟილაშვილი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ "*თქვენ რაც არ მომხდარა ჯერ, იმაზე საუბრობთ*" და არ უჩნდება კითხვა, თუ რატომ შეიძლება იყოს საფრთხე ადგილობრივ თვითმმართველობაში ეთნიკური არაქართველი საქართველოს მოქალაქეების არჩევა, როდესაც ისინი ადგილობრივ მოსახლეობას წარმოადგენენ. პოლიტიკური ოპონენტის ამ განცხადებაზე თამარ კორძაია აღნიშნავს, რომ ის აბსტრაქტულ საფრთხეებზე საუბრობს.

ობიექტივი, 25 აპრილი

რეგიონალური ენების ევროპული ქარტიის თემა ობიექტივის ყურადღების არეალშიც მოექცა. გადაცემის წამყვანი ბონდო მძინარაშვილი დისკრიმინაციას იჩენს და ქვეყნის მოქალაქეთა ლინგვისტური თვითმყოფადობის დაცვას მხოლოდ ისტორიული სამშობლოს საზღვრებში მიიჩნევს გამართლებულად.

ბონდო მძინარაშვილი: *"საქართველოში არავითარი რეგიონული ენები არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ორი სახელმწიფო ენა, ეს არის მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე- ქართული და აფხაზეთის ტერიტორიაზე- აფხაზური. ყველა ენის პატრონს აქვს თავისი სამშობლო. ჩვენი გადასარჩენი არ არის არც სომხური, არც აზერბაიჯანული, არც რუსული და არც ბერძნული…აფრიკელები არიან ახლა, ჩამოსულები და ისინი რა ენაზეც ლაპარაკობენ, იმათაც რომ მოგვთხოვონ, ახლა, ჩემი ენის გადარჩენაზეც იზრუნეთო, მთელი აფრიკა მათ ენაზე ლაპარაკობს, იქ დარჩნენ და იქ ილაპარაკონ. მაინცდამაინც მე რომ უნდა გადავურჩინო იქ მათი დედაენა, წავიდეს და სადაც დედამისია, იქ გადაარჩინოს თავისი დედაენა."*
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11733

საქართველოს მოქალაქე ეთნიკურ სომხებზე, როგორც სტუმრებზე საუბრობს დავით თარხან-მოურავიც 22 აპრილის "ღამის სტუდიაში":

*"ჩვენ სომხები მივიღეთ…იმიტომ მივიღეთ, რომ ისინი ასეთები გახდნენ, საქართველოს სინამდვილეში ინტეგრირება მოხდეს და არა იმიტომ, რომ ჩვენ მათ ახლა რეგიონული ენის სტატუსი მივცეთ მათ ენას."*

## სექსუალური უმცირესობები

**სექსუალური უმცირესობების დისკრიმინაცია კვლავ პოლიტიკური ოპონირების ჭრილში ხდებოდა და ის ყველზე აქტუალური პარლამენტის შუალედური არჩევნების დისკურსში იყო.**

### შუალედური არჩევნები და ერთსქესიანთა ქორწინება

"ქართული ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატს, თამარ კორძაიას პოლიტიკური ოპონენტები ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების მცდელობაში "სდებდნენ ბრალს". ბუნებრივია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შესაძლოა, როგორც პოლიტიკურ სპექტრში, ისე საზოგადოებაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობდეს, მაგრამ ბრალდების სახით საკითხის დასმა თავისთავად ნეგატიური კონტექსტის მატარებელია. ხოლო მედია საშუალებებს არ გამოუჩენიათ სათანადო ძალისხმევა იმისათვის, რომ გაერკვიათ თავად "ბრალდებათა" ადრესატის დამოკიდებულება განსახილველი საკითხისადმი. ერთადერთი გადაცემა, რომელიც შეეცადა გაეგო თამარ კორძაიას მოსაზრება ერთსქესიანთა ქორწინებაზე, ტელეკომპანია "იმედის" 26 აპრილის "ღია ეთერი" იყო, სადაც წამყვანმა ვახო სანაიამ დებატების მონაწილე თამარ კორძაიას ჰკითხა მისი დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხზე. თუმცა, გადაცემის წამყვანმაც საკითხი ოპონენტთა მხრიდან გაკეთებული ბრალდების კონტექსტში დასვა. საპასუხოდ რესპონდენტმა განაცხადა, რომ ეს სიცრუე იყო და თავისი ნეგატიური დამოკიდებულება ამ თემისადმი მისი "ქართულ ოჯახში" აღზრდით და საკუთარი რელიგიური მრწამსით ახსნა:

> **თამარ კორძაია:** *"მე ვარ ქართულ ოჯახში გაზრდილი, სარწმუნოებით მართლმადიდებელი ადამიანი და ეს არის პასუხი."*

რესპონდენტის პასუხი შეიცავდა სტერეოტიპს, რომ ქართული ოჯახისთვის და მართლმადიდებლისთვის ერთსქესიანთა ქორწინება მიუღებელია, რაც ასევე შესაძლოა მიუღებელი ან მისაღები იყოს სხვა ადამიანებისთვისაც, მიუხედავად მათი ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა. ამასთანავე, თამარ კორძაიას განცხადება - "*გაცილებით მნიშვნელოვანი და სერიოზული თემებია, რაზეც მინდა მე ეხლა ჩემს ამომრჩეველს დაველაპარაკო*" - იმის მანიშნებელია, რომ დეპუტატობის კანდიდატი საკუთარ ელექტორატში იმ ადამიანებს არ მოიაზრებს, ვისთვისაც ეს საკითხი შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს. ჟურნალისტი კი ამ კუთხით საკითხს არ განავრცობს და სხვა კანდიდატებს არ ეკითხება, თუ რა მიდგომა აქვთ მათ განსახილველ თემასთან მიმართებაში. ის, რომ ვახო სანაია მხოლოდ ერთ რეპონდენტს ესაუბრება სენსიტიურ თემაზე და სხვას არ მიმართავს ანალოგიური შეკითხვით, არის ჟურნალისტური სტანდარტის დარღვევა.

http://www.myvideo.ge/?video_id=2022467

"ღია ეთერის" წამყვანისგან განსხვავებით, "ასავალ-დასავალის" ჟურნალისტი თამარ ჩაჩანიძე(22.04) თამარ კორძაიას დადებით დამოკიდებულებას ერთსქესიანთა ქორწინებისადმი შემდგარ ფაქტად ისე მიიჩნევს, რომ რესპონდენტისგან მხოლოდ იმის გაგებას ცდილობს, რამდენად "*შეუძლია ერთ თამარ კორძაიას ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება?*"

საპასუხოდ თამარ კორძაია უმცირესობების თემატიკას ემიჯნება და აღნიშნავს, რომ მისი სამუშაო თემა არასდროს ყოფილა უმცირესობები, ხოლო მისი უფლებადაცვითი საქმიანობა მხოლოდ გამოხატვის თავისუფლებასა და დევნილთა უფლებებს მოიცავდა. "ქართული ოცნების" კანდიდატის განცხადება, რომ - "*უმცირესობებთან დაკავშირებით გამომიხატავს პოზიცია, მაგრამ ჩემი განცხადებები ძალადობის წინააღმდეგ იყო მიმართული*" - ხაზს უსვამს იმას, რომ რესპონდენტი უმცირესობების უფლებებს მხოლოდ ძალადობისგან დაცვის კონტექსტში განიხილავს.

http://www.asavali.ge/archive/2013/966/files/1-41pm5.pdf

მიუხედავად იმისა, რომ 27 აპრილს ტელეკომპანია "იმედის" ეთერში თამარ კორძაიამ თავისი ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატა ერთსქესიანთა ქორწინებისადმი, 28 აპრილის "იმედის" 8 საათიან ქრონიკაში, რომელიც

ბიულეტენი №2

ასავალ დასავალი

*"ჭეშმარიტ ეროვნულ მოძრაობას შეუძლებელია, რომ საერთო ჰქონდეს 19 აპრილის სამარცხვინო სპექტაკლის დროს სცენაზე სააკოვის გვერდით მოყელყელავე ციხის პედერასტ-ქათამად ცნობილ ბრიგადირთან გიორგი ("ანჟელა") მაზმანიანთან"!*

## სექსუალური უმცირესობები

შუალედური არჩევნების შეფასებას ეხებოდა, ჟურნალისტმა აღნიშნულ თემაზე შალვა ნათელაშვილის სინქრონი ისე გაავრცელა, რომ არც კი აღუნიშნავს, რეალურად რა მოსაზრება აქვს "ქართული ოცნების" კანდიდატს საკითხისადმი:

**შალვა ნათელაშვილი:** *"ვულოცავ ნახალოვკას. თქვენ ივანიშვილის წარმომადგენელი, ჰომოსექსუალისტების დამცველი ქალბატონი ღირსეულად წარმოგადგენთ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში".*
http://www.myvideo.ge/?video_id=2023407

თამარ კორძაიასთან მიმართებით არასწორი ინფორმაციის ტირაჟირება სხვა გადაცემებშიც ხდებოდა:

**იმედი**
**"ქრონიკა", 25 აპრილი**

**ნუგზარ ვაზაგაშვილი სოსო მანჯავიძის შესახებ:** *"სუფთა ქართველი. ადამიანი, რომელიც არ დაუჭერს მხარს პარლამენტში ერთსქესიანთა ქორწინებას. არ დაუშვებს რეგიონალური ენების განვითარებას აქ."*
http://www.myvideo.ge/?video_id=2021656

**ობიექტივი, 27 აპრილი**

**გიორგი გუგავა:** *"პარლამენტში მოვიყვანოთ სექსუალურ უმცირესობაზე გადამკვდარი და მათი დამცველი და ეს არის თურმე ახდენი ოცნება ნახალოვკელებისათვის და ქვეყნისათვის."*
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11763

**I არხი,**
**"დიალოგი" , 24 აპრილი**

ერთადერთი გადაცემა, სადაც ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ თამარ კორძაიას მიმართ გავრცელებული არასწორი ინფორმაციის უარყოფა წამყვანმა მოახდინა, ეს 24 აპრილის საზოგადოებრივი მაუწყებლის "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" იყო, რომელშიც შუალედურ არჩევნებში მონაწილე სუბიექტები იყვნენ მიწვეული და რომელშიც თავად "ქართული ოცნების" კანდიდატი არ მონაწილეობდა. დავით პაიჭაძემ იმ საბაბით, რომ აღნიშნული თემა მოგონილი იყო და სიმართლეს არ შეესაბამებოდა, ლეიბორისტთა კანდიდატს, გიორგი გუგავას სიტყვა შეაწყვეტინა.
http://www.myvideo.ge/?video_id=2020663

**რუსთავი 2**
**"პოზიცია", 23 აპრილი**

დავით პაიჭაძისგან განსხვავებით, რუსთავი 2-ის გადაცემა "პოზიციის" წამყვანმა ნინო შუბლაძემ თამარ კორძაიას მიმართ გიორგი გუგავას მიერ ერთსქესიანთა ქორწინებაზე გაკეთებული განცხადება, როგორც არასწორი ინფორმაცია კი არ უარყო, არამედ ლეიბორისტთა კანდიდატს მხოლოდ იმ საბაბით შეაწყვეტინა საუბარი, რომ თავად კორძაია სტუდიაში არ იმყოფებოდა, რაც, ცხადია, არაზუსტი ინფორმაციის გავრცელების პრევენციად ვერ ჩაითვლება.
http://www.myvideo.ge/?video_id=2018957

### ნაციონალური მოძრაობა და სექსუალური უმცირესობები

გაზეთმა ასავალ-დასავალმა სამი პუბლიკაცია მიუძღვნა ნაციონალური მოძრაობის 19 აპრილის აქციას და მასში მონაწილე პატრიოტთა მოძრაობის ხელმძღვანელს გიორგი მაზმანიანს, რომელიც დამამცირებელი ტერმინით "ქათმად", "პიდარასტად" და ქალის სახელით "ანჟელა" მაზმანიანად არის მოხსენიებული, როგორც ჟურნალისტების, ასევე რესპონდენტების მხრიდან, ხოლო მიხეილ სააკაშვილის გვარი - სომხური დაბოლოებით "სააკოვად".

**ასავალ-დასავალი, 22-28.04**
**"მიშა სააკოვი, "ანჟელა" მაზმანიანი და ახალი ეროვნული მოძრაობა"!**

**ავტორი გიორგი გიგაური:** *"ჭეშმარიტ ეროვნულ მოძრაობას შეუძლებელია, რომ საერთო ჰქონდეს 19 აპრილის სამარცხვინო სპექტაკლის დროს სცენაზე სააკოვის გვერდით მოყელყელავე ციხის პედერასტ-ქათამად ცნობილ ბრიგადირთან გიორგი ("ანჟელა") მაზმანიანთან"!*
http://www.asavali.ge/archive/2013/966/files/1-41pm5.pdf

**"ასავალ-დასავალი", 22.04 28.04**

როდესაც შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი კახა თარგამაძე, ნაციონალურ მოძრაობაზე საუბრისას, მათ "პეტუხებად" მოიხსენიებს, ჟურნალისტი თეა ასათიანი მინიშნებას გიორგი მაზმანიანზე აკეთებს:

გაგრძლება გვ. 12



**შალვა ნათელაშვილი:** *"ვულოცავ ნახალოვკას. თქვენ ივანიშვილის წარმომადგენელი, ჰომოსექსუალისტების დამცველი ქალბატონი ღირსეულად წარმოგადგენთ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში".*

## სექსუალური უმცირესობები

დასაწყისი გვ. 10, 11

*„19 აპრილის აქციაზე ერთი "პეტუხი" საავაშვილს გვერდით ედგა".*

რაზეც, თავის მხრივ, კახა თარგამაძე აკონკრეტებს, რომ მათი გაზეთის ფურცლებიდან "პეტუხი" მაზმანიანი მანაც ამოიცნო.
http://www.asavali.ge/archive/2013/966/files/1-41pm5.pdf

"ქათმად" და "ანჟელა" მაზმანიანად მოიხსენიებს გიორგი მაზმანიანს "ასავალ-დასავალთან" ინტერვიუში სანდრო ბრეგაძეც.
http://www.asavali.ge/archive/2013/966/files/1-41pm5.pdf

**კვირის პალიტრა, 22 –28 აპრილი**

დეკანოზი გრიგოლ გოგიჩაძე კი, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას "სატანისტურ სექტად" მოიხსენიებს, მამათმავლობას აღნიშნული პარტიის მიერ დანერგილ სიბინძურედ აცხადებს:

> **გრიგოლ გოგიჩაძე:** *"ბოლო დროს მამათმავლობა ყველა სფეროში დანერგეს. ნაციონალებმა ყველა ის სიბინძურე გაუკეთეს ეკლესიას, რასაც კომუნისტები აკეთებდნენ, თანაც გაცილებით საძაგლად."*

ამასთანავე, როდესაც ჟურნალისტი ეკა ასათიანი ცდილობს დააკონკრეტოს, თუ ვინ ცდილობდა რესპონდენტის გაუპატიურებას, როგორც ეს მასალის სათაურში კითხვის ფორმით არის გამოტანილი და თავად დეკანოზი ინტერვიუში აცხადებს, ეს უკანასკნელი ზოგად პასუხს სცემს:

> **გრიგოლ გოგიჩაძე:** *"ერთი რამ მინდა იცოდეთ, იმით, რაც ციხეებში ხდებოდა, არა მარტო პატიმრებს, არამედ სასულიერო პირებსაც ებრძოდნენ."*

მიუხედავად იმისა, რომ სათაური კითხვის ნიშნით არის გადმოცემული, მას შეცდომაში შეჰყავს მკითხველი, რადგან მუქარის ფაქტს კონკრეტულად ვერც რესპონდენტი ასახელებს.
http://www.kvirispalitra.ge/politic/16729-sandro-girgvlianis-dedis-modzghvars-gaupatiurebith-emuqrebodnen.html

ჰომოსექსუალიზმი ნაციონალური მოძრაობის მიერ თავსმოხვეულ მოვლენად არის წარმოჩენილი "ობიექტივის" 26 აპრილის "ღამის სტუდიაშიც":

> **მაყურებლის სატელეფონო ზარი:** *"ყველაზე ძალიან ესენი [იგულისხმებიან ნაციონალები] იმიტომ მეზიზღებიან, რომ მამაკაცის ფუნქცია უნდოდათ დაეკარგათ საქართველოში, ოჯახის უფროსი, ტრადიცია, ჩვენ აზიელები არ ვართ მთლად, მაგრამ არც ევროპელები."*
> http://obieqtivi.net/tv1.php?id=11748

ობიექტივის 22 აპრილის "ღამის სტუდიაში" პატრიოტთა ალიანსის ლიდერი დავით თარხან-მოურავიც ერთსქესიანთა ქორწინებას ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიად განიხილავს:

> *"კაცი, რომ კაცს შეირთავს... და ქალს ქალი ქმრად, რომ ეყოლება აი, ეს იდეოლოგია, რომ წინა პლანზეა და თუ ეს არ მოგწონს...ჰომოფობებად რომ გამოგვაცხადებს, ეს ეროვნული ნაცისტები, ესაა ეტყობა ილიას გზა... რომელთა მთავარი ლოზუნგია გზა ილიასი, კაცმა კაცი ცოლად შეირთოს, ქალი ქალს ქმრად ჰყავდეს"...*
> http://obieqtivi.net/tv1.php?id=11689

კოჰაბიტაციაზე, როგორც ეროვნული დეგრადირების პრობლემაზე, ჰომოსექსუალიზმის კონტექსტში გაზეთ "კვირის ქრონიკასთან" ("ისე მაგათ მოსტყ...ნიათ პატრონი!" 22-28 აპრილი) ინტერვიუში საუბრობს მწერალი თამაზ წივწივაძე:

> *"კაცის კაცთან თანაცხოვრება, ანუ დღევანდელი კოჰაბიტაცია, გამრავლების ნაცვლად ეროვნული გამოქლიავებულობის საფუძველთა "საფუძველია".*

ბიულეტენი №2



**გრიგოლ გოგიჩაძე:***"ბოლო დროს მამათმავლობა ყველა სფეროში დანერგეს. ნაციონალებმა ყველა ის სიბინძურე გაუკეთეს ეკლესიას, რასაც კომუნისტები აკეთებდნენ, თანაც გაცილებით საძაგლად."*

## ქონებრივი დავები



თამაზ წივწივაძე:

*"კაცის კაცთან თანაცხოვრება, ანუ დღევანდელი კოჰაბიტაცია, გამრავლების ნაცვლად ეროვნული გამოქლიავებულობის საფუძველთა "საფუძველია".*

### იმედი, "ქრონიკა", 26 აპრილი

გორის რაიონის სოფელ არცევის მოსახლეობის დაპირისპირება ინდოელ ინვესტორებთან შედარებით დაბალანსებულად გააშუქა ტელეკომპანია „იმედის" საინფორმაციო გამოშვება "ქრონიკამ", სადაც ყველა მხარეა წარმოდგენილი, როგორც უცხოელი ინვესტორი, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა, მოყვანილია ეკონომიკის სამინისტროს პოზიციაც და აღნიშნულია ისიც, რომ სამინისტროს წარმომადგენელმა სატელევიზიო კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა. სიუჟეტში ასევე მოყვანილია პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის შეფასება ზოგადად მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით წარმოქმნილ დავებზე, სადაც ის აღნიშნავს, რომ ეს თემა ზოგიერთ შემთხვევაში გადაჭარბებულია და რომ უცხოელი ფერმერების ყოფნა საქართველოში ნორმალურია. მოყვანილია პრემიერის განცხადების ის ნაწილიც, სადაც ის აცხადებს, რომ ერთ არანორმალურ ქმედებას ამ თვალსაზრისით შესაძლოა, ჯაჭვური რეაქცია მოჰყვეს და ეს ცუდი სიგნალი იყოს ბიზნეს ელიტისთვის.

ამასთანავე, მართალია, ჟურნალისტი სიუჟეტში უთითებს, რომ ინდოელმა ფერმერებმა აღნიშნული ნაკვეთი კერძო პირისგან შეიძინეს, რაც მიწის საძოვრად განკუთვნილი "სარეზერვო ნაკვეთების" კატეგორიაში ყოფნას გამორიცხავს, თუმცა იგი საკითხს მაინც სარეზერვო მიწის გასხვისების კანონიერების კუთხით წარმოაჩენს, როგორც ამას ადგილობრივები განიხილავენ და არა ორ კერძო პირს შორის სასამართლო დავის საგნად, ვინაიდან უცხოელ ინვესტორს საკუთრებით სარგებლობის უფლება არ ეძლევა.
http://www.myvideo.ge/?video_id=2021782

### რუსთავი 2
### "პოსტ სკრიპტუმი", 28 აპრილი

მიწის საკუთრებასთან წარმოქმნილ დავებზე პოსტსკრიპტუმის სიუჟეტი მართალია, სხვადასხვა მხარის მოსაზრებებს მოიცავს, მაგრამ ის გაჯერებულია ადგილობრივთა ქსენოფობიური, დისკრიმინაციული გამოხატვებით უცხოელთა მიმართ და დაუსაბუთებელ პარალელებსაც შეიცავს:

**გიორგი მძინარაშვილი, სოფელ დიცის მკვიდრი:** *"მოსული იყვნენ თათრები, ეგ ურჯულო ხალხი. მაგათ დაიპატრონეს ჩვენი მიწა-ადგილი. აქ ხალხი არ ცხოვრობს და არსებობს? სად არის ეს ჩვენი მთავრობა?"*

**სოფელ დიცის მკვიდრი (უტიტროდ):** *"ქართველი კაცი ინდოელ რომ მიწას მიჰყიდის, აჯამია, მა, ნორმალურია?"*

**სოფელ დიცის მკვიდრი (უტიტროდ):** *"ერთი მიდის, ერთი მოდის, ბატონი მე ინდოელი, არ მჭირდება".*

სიუჟეტში ადგილობრივთა მიერ მოყვანილ დაუსაბუთებელ პარალელებსაც და არარეალურ საფრთხეებსაც ვხვდებით. ჟურნალისტი კი აღნიშნავს, რომ დიცი ოკუპირებული

გაგრძლება გვ. 14

![MDF მედიის განვითარების ფონდი]

ალ.ჭავჭავაძის №54,
მე-5 სად. მე-4 სართული.
ქ.თბილისი, საქართველო,
0179

ტელ/ფაქსი: (+99532) 2 22 00 16

ელ.ფოსტა: info@mdfgeorgia.ge
mdfgeo@gmail.com

WWW.MDFGEORGIA.GE



დასაწყისი გვ. 13

ტერიტორიების მიმდებარე სოფელია:

**შოთა ვაზარაშვილი, სოფელ დიცის მკვიდრი:** *"ეს ინდოელები აიღებენ რუსულ პასპორტებს, ძალიან კარგად არიან ერთმანეთში. მერე ეს რუსები თავიანთ მოქალაქეობას მისცემენ, შემოვლენ ტანკები, დადგებიან აქ და არავინ ჩანს, რომ იმათ წინააღმდეგობა გაუწიოს."*

**სოფელ დიცის მკვიდრი (უტიტროდ):** *"ამ მიწის გულისთვის ჩაიხოცნენ ქართველები ცხინვალში. ყოველი გოჯი მიწა ძვირფასია ჩვენთვის. ინდოიელები შემოდიან. ინდოელებს აქ რა უნდათ, კაცო."*
http://www.myvideo.ge/?video_id=2022953

28 აპრილის პოსტსკრიპტუმის სიუჟეტი იმ მოარულ ჭორებს პასუხობს, რომლის თანახმად, თბილისში ვაზისუბანში 126 000 ჩინელის ჩამოსახლება იგეგმება. სიუჟეტი განმარტავს პროექტის კომერციულ მხარეს, რაც ახალი უბნისა და 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიადისთვის ოლიმპიური სოფლის მშენებლობას ითვალისწინებს, ასევე ასახავს იმ ფობიებსა და ზოგ შემთხვევაში სიძულვილს, რაც ადგილობრივებს ჩინელების მიმართ აქვთ:



**ადგილობრივი მკვიდრი:** *„არავის არ უნდა, საერთოდ, ეს ჩინელები. ერთმა ხმა რომ ამოიღოს ვინმემ, ჯოხით იქნება თუ რა იქნება, ყველა აჰყვება მაგას."*

**ადგილობრივი მკვიდრი:** *„ეგენი უნდა გავრეკოთ ყველა. სად ქართველი რომ იმუშავებს და ქართველი წესიერად გააკეთებს თავის სამშობლოსთვის, სად ვიღაც ჩინელი რომ გააკეთებს."*

ლეიბორისტთა წარმომადგენელი გიორგი გუგავა კი მანანა კობახიძის მსგავსად ქსენოფობიის ჰომოფობიაში აღრევას ახდენს და ეთნიკური დაპირისპირების საფუძვლებზე საუბრობს:

*„ეთნიკურ დაპირისპირებას უფრო სოციალური საფუძველი გააჩნია, ვიდრე ჰომოფობიური ან სხვა. როდესაც სკოლა წაართვეს უბანს, როდესაც უყურებს, რომ მისთვის სამუშაო ადგილი ვერ შეიქმნა, მიმდინარეობს მშენებლობა და თვითონ ვერ საქმდება, უმუშევარია, სოციალურად შეჭირვებულია. უყურებს, რომ ყოველდღიურად მრავლდება ჩამოსულთა რაოდენობა."*
http://www.myvideo.ge/?video_id=2023607